



სახელმწიფო შესყიდვების
სააგენტოს თავმჯდომარის
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა



KA080196988317019

№ 1137

28 / თებერვალი /
2019 წ.

შპს „თიესაი კომპანი“ შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ

შემსყიდველი ორგანიზაცია: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საბურთალოს რაიონის გამგეობა;

ტენდერის ნომერი: NAT180011473;

შესყიდვის ობიექტი: 45200000 – მთლიანი ან ნაწილობრივი სამშენებლო სამუშაოები და სამოქალაქო მშენებლობის სამუშაოები;

მიმწოდებელი: შპს „თიესაი კომპანი“ (ს/ნ: 200272310);

წერილობითი შეტყობინების საფუძველი: სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულება.

აღწერილობითი ნაწილი

1. ადმინისტრაციული წარმოების დაწყება

1.1. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში 2018 წლის 29 ნოემბერს წარმოდგენილ იქნა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საბურთალოს რაიონის გამგეობის 2018 წლის 29 ნოემბრის № 31-01183332355 წერილობითი შეტყობინება (რეგისტრაციის № 9943), რომლითაც სააგენტოს ეცნობა შპს „თიესაი კომპანი“ (ს/ნ: 200272310) მიერ NAT180011473 ელექტრონული ტენდერის საშუალებით დადებული 2018 წლის 11 სექტემბრის № 1.1.13/30/92 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების თაობაზე.

1.2. შპს „თიესაი კომპანი“ სააგენტომ, სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში მის პროფილში მითითებული ელექტრონული ფოსტის მისამართის tsicompany10@gmail.com მეშვეობით, 2018 წლის 30 ნოემბრის № 4071 წერილით აცნობა სააგენტოში შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინების წარმოდგენის თაობაზე და, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სთხოვა ხსენებულ საქმეზე წერილობითი განმარტების წარმოდგენა.

1.3. შპს „თიესაი კომპანი“ 2018 წლის 17 და 31 დეკემბერს წარმოადგინა 2018 წლის 17 და 27 დეკემბრის განმარტებები (რეგისტრაციის № 10580 და № 11152) სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების თაობაზე.

1.4. საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებებისა და მიმწოდებლის შავ სიაში რეგისტრაციის საფუძვლის არსებობის დასადგენად, „შპს „თიესაი კომპანი“ შავ სიაში დარეგისტრირებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების ვადის გაგრძელების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2019 წლის 29 იანვრის № 543 განკარგულებით, ერთი თვით გაგრძელდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საბურთალოს რაიონის გამგეობის წერილობითი შეტყობინების საფუძველზე დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების ვადა.

1.5. 2019 წლის 27 თებერვალს შემსყიდველმა ორგანიზაციამ წარმოადგინა 2019 წლის 27 თებერვლის № 31-01190583069 დამატებითი ინფორმაცია (რეგისტრაციის № 2242) სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების თაობაზე.

2. შემსყიდველი ორგანიზაციის პოზიცია

2.1. შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინების თანახმად, მიმწოდებელმა არაჯეროვნად შეასრულა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები, კერძოდ, მან ვადაგადაცილებით, ხარვეზებით და არასრულად შეასრულა შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი დავალებებით გათვალისწინებული სამუშაოები. აღნიშნულის შესაბამისად, ხელშეკრულება ცალმხრივად შეწყდა და მიმწოდებელს დაეკისრა პირგასამტეხლოს გადახდა.

2.2. შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ წარმოდგენილი დამატებითი ინფორმაციის შესაბამისად, ფაქტი, რომ შემსყიდველი ორგანიზაცია იღებდა შესრულებას და მხარეთა შორის ფორმდებოდა შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტები არ გულისხმობს ვალდებულებების ჯეროვნად შესრულებას, ხოლო რაც შეეხება უამინდობით გამოწვეულ შეფერხებას, აღნიშნულთან დაკავშირებით მიმწოდებელს არცერთხელ არ უცნობებია შემსყიდველი ორგანიზაციისთვის.

3. მიმწოდებლის პოზიცია

მიმწოდებლის წერილობით განმარტების შესაბამისად, იგი ჯეროვნად ასრულებდა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს, ხოლო შემსყიდველმა ორგანიზაციამ უსაფუძვლოდ შეწყვიტა ხელშეკრულება, რადგან იგი იღებდა შესრულებას და მხარეთა შორის გაფორმებულია მიღება-ჩაბარების აქტები. ამასთან, ვალდებულებების შესრულების შეფერხება და მათი ვადაგადაცილებით შესრულება გამოწვეული იყო უამინდობით, რაც შემსყიდველი ორგანიზაციისთვის ცნობილი იყო, ხოლო სამუშაოების სპეციფიკიდან გამომდინარე, უამინდობის დროს ვალდებულებების შესრულება შეუძლებელი იყო.

4. სააგენტოს მიერ დადგენილი გარემოებები

4.1. 2018 წლის 25 ივლისს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საბურთალოს რაიონის გამგეობამ გამოაცხადა NAT180011473 ელექტრონული ტენდერი გზის შეკეთების სამუშაოების (CPV45233142) შესყიდვის მიზნით.

4.2. სატენდერო კომისიის 2018 წლის 31 აგვისტოს № 3 სხდომის ოქმით, ტენდერში გამარჯვებულად გამოვლინდა შპს „თიესაი კომპანი“ (ს/ნ: 200272310) და მიწვეულ იქნა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების გასაფორმებლად.

4.3. 2018 წლის 11 სექტემბერს მხარეთა შორის გაფორმდა № 1.1.13/30/92 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება, რომლის თანახმად მიმწოდებელს უნდა შეესრულებინა ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოები, წერილობით დავალების შესაბამისად, 2018 წლის 30 ნოემბრის ჩათვლით. ხელშეკრულების ღირებულებად განისაზღვრა 239 808 ლარი, ხოლო მოქმედების ვადად – 2018 წლის 31 დეკემბერი.

4.4. შემსყიდველი ორგანიზაციის 2018 წლის 17 სექტემბრის №31-01182602899, 2018 წლის 18 ოქტომბრის №31-01182912271 და 2018 წლის 2 ნოემბრის №31-01183062740 წერილებით, მიმწოდებელს დაევალა სამუშაოების შესრულება 2018 წლის 8 ოქტომბრის, 1 ნოემბრისა და 20 ნოემბრის ჩათვლით.

4.5. ააიპ „თბილისის მუნიციპალური ლაბორატორიის“ 2018 წლის 16 ნოემბრის № 70-0118320614 და 19 ნოემბრის №70-01183235 წერილებიდან ირკვევა, რომ მიმწოდებელმა უხარისხოდ შეასრულა შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი დავალებებით გათვალისწინებული სამუშაოები.

4.6. შემსყიდველი ორგანიზაციის ზედამხედველობისა და რეაგირების განყოფილების უფროსის 2018 წლის 20 ნოემბრის №31-01183243352 წერილის შესაბამისად, მიმწოდებელმა ვადაგადაცილებით, ხარვეზებით და არასრულად შეასრულა შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი დავალებებით გათვალისწინებული სამუშაოები, რის გამოც მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტა.

4.7. შემსყიდველი ორგანიზაციის 2018 წლის 21 ნოემბრის № 31-01183253212 წერილით, ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების გამო, სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება ცალმხრივად შეწყდა და მიმწოდებელს დაეკისრა პირგასამტეხლოს გადახდა 191,84 ლარის ოდენობით.

4.8. მხარეთა შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტების შესაბამისად, მიმწოდებელმა შეასრულა 57 479,09 ლარის ღირებულების ვალდებულებები (ხელშეკრულების ღირებულების 24%). ამავე მიღება-ჩაბარების აქტების შესაბამისად, მიმწოდებელს ვალდებულებების ვადაგადაცილებით შესრულების გამო არაერთხელ დაეკისრა პირგასამტეხლოს გადახდა.

4.9. მიმწოდებლის განმარტებას თანდართული სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტოს“ 2018 წლის 21 დეკემბრის ცნობის შესაბამისად, 2018 წლის 11 სექტემბრიდან 17 ნოემბრის ჩათვლით ქალაქ თბილისში ნალექი აღინიშნა 27 დღის განმავლობაში.

სამოტივაციო ნაწილი

5. შემაჯამებელი დასკვნა

საქმეში არსებული მტკიცებულებებისა და გარემოებების შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, სააგენტო მიიჩნევს, რომ შპს „თიესაი კომპანი“ უნდა დარეგისტრირდეს შავ სიაში.

6. გამოყენებული სამართლებრივი აქტები

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესი და პირობები“.

7. სამართლებრივი შეფასება

7.1. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, სახელმწიფო შესყიდვის ნებისმიერი საშუალებით განხორციელებისას, გარდა კონსოლიდირებული ტენდერისა, პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველია, თუ მიმწოდებელმა ვერ შეასრულა ან არაჯეროვნად შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები. იმავდროულად, აუცილებელია, რომ ხელშეკრულების მოქმედების ვადა იყოს გასული ან ხელშეკრულება ვადაზე ადრე იყოს შეწყვეტილი.

7.2. იმავე წესის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, საქმეში არსებული გარემოების გამოკვლევის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, სააგენტო ადგენს, არსებობს თუ არა პრეტენდენტის/ მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველი. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული გარემოებები, სააგენტო იღებს გადაწყვეტილებას პრეტენდენტის/ მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირებაზე უარის თქმის შესახებ, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ არსებობს პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველი, სააგენტო, ამ მუხლის შესაბამისად, იღებს გადაწყვეტილებას პრეტენდენტის/მიმწოდებლის გაფრთხილების ან შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ.

7.3. მოცემულ შემთხვევაში, დგინდება, რომ მიმწოდებელმა არაჯეროვნად შეასრულა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები, კერძოდ, მან ვადაგადაცილებით, ხარვეზებით და არასრულად შეასრულა შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი დავალებებით გათვალისწინებული სამუშაოები. ამასთან, მიმწოდებლის განმარტებაში დასახელებულ ფაქტებთან დაკავშირებით, სააგენტო განმარტავს, რომ ვალდებულებები შესრულდა ვადაგადაცილებით, ხარვეზებით და არასრულად, თუმცა მიმწოდებელს შესრულებულ სამუშაოებთან დაკავშირებით გაუფორმდა მიღება-ჩაბარების აქტები, რაც არ გულისხმობს, რომ ვალდებულებები ჯეროვნად სრულდებოდა. რაც შეეხება უამინდობით გამონვეულ შეფერხებას, ერთი მხრივ, შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ წარმოდგენილი დამატებითი ინფორმაციის შესაბამისად, მიმწოდებელს არცერთხელ უცნობებია მისთვის აღნიშნული გარემოების შესახებ, ხოლო, მეორე მხრივ, მიმწოდებელს სააგენტოში არ წარმოდგენია იმის დამადასტურებელი მტკიცებულება, რომ უამინდობა იწვევდა სამუშაოების შეფერხებას და აღნიშნულის შესახებ მან აცნობა შემსყიდველ ორგანიზაციას. ამდენად, გემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო მიიჩნევს, რომ არსებობს მიმწოდებლის გაფრთხილების ან შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველი.

7.4. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, გაფრთხილების ან შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, სააგენტო, საქმისთვის მნიშვნელობის მქონე გარემოებებთან ერთად, დამატებით ითვალისწინებს დარღვევის სიმძიმეს, პრეტენდენტის/მიმწოდებლის მანამდე მიღებული გაფრთხილების თუ შავ სიაში რეგისტრაციის ფაქტ(ებ)ს, მისი სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილეობის აქტივობას.

7.5. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ გადაწყვეტილება მიიღება იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია სრულად აკმაყოფილებს ამ წესის მე-3 და მე-4 მუხლებით განსაზღვრულ მოთხოვნებს და არ არის სახეზე შავ სიაში დარეგისტრირებაზე უარის თქმის ან გაფრთხილების საფუძველი.

7.6. განსახილველ შემთხვევაში, სააგენტო მიიჩნევს, რომ შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინება აკმაყოფილებს გემოაღნიშნული წესის მე-3 და მე-4 მუხლებით განსაზღვრულ მოთხოვნებს. ამასთან, სახეზეა მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების წინაპირობა და არ არსებობს მისი შავ სიაში დარეგისტრირებაზე უარის თქმის ან გაფრთხილების საფუძველი, რადგან მიმწოდებელმა არაჯეროვნად შეასრულა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები, ხოლო შესრულებული ვალდებულებების წილი შესასრულებელი ვალდებულებების სრულ მოცულობასთან მიმართებით შეადგენს 24%-ს. შესაბამისად, არსებული დარღვევის გათვალისწინებით, შპს „თიესაი კომპანი“ უნდა დარეგისტრირდეს შავ სიაში.

სარეზოლუციო ნაწილი


სააგენტომ იხელმძღვანელა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის №19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-6 პუნქტით და დაადგინა:

1. შპს „თიესაი კომპანი“ (ს/ნ: 200272310) 2019 წლის 1 მარტს დარეგისტრირდეს შავ სიაში.

2. ამ განკარგულების აღსრულება დაევალოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტს.

3. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავმჯდომარე

ხელმოწერილია/
შტამბდასმულია
ელემენტრონულად 

ლევან რაზმაძე